8506/3-6/22 2 14092022

8506/3-6/22
14-09-2022

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

მოგმართავთ საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

1. 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის თანახმად, სამინისტროებიდან გეგმასთან შედარებით ყველაზე ნაკლები - 75.9% **იუსტიციის სამინისტრომ** დახარჯა, რაც ძირითადად პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე გამოყოფილი დაფინანსების 23.4%-ით ათვისებამ განაპირობა.

რატომ ვერ მოხერხდა პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე გამოყოფილი თანხების სრულად ათვისება და ათვისებული თანხის ფარგლებში რა ინფრასტრუქტურული სამუშაოები შესრულდა.

2. იუსტიციის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ-ებსა და ა(ა)იპ-ებში რამდენი შტატგარეშე თანამშრომელია დასაქმებული და რა თანხა არის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათ ანაზღაურებაზე.

3. სტატისტიკა ბოლო ერთი წლის განმავლობაში :

- რამდენმა თანამშრომელმა დატოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური პირადი განცხადების საფუძველზე.
- რამდენი თანამშრომელი გათავისუფლდა სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან და რა საფუძვლებით.
- რამდენმა თანამშრომელმა დატოვა პირადი განცხადების საფუძველზე სასჯელაღსრულების დაწესებულებები(ხნსებული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ დაწესებულებისის მიხედვით).
- რამდენი თანამშრომელი გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან და რა საფუძვლებით (ხნსებული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ დაწესებულებისის მიხედვით).

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან ბეჟაშვილი